სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 1/162-2015

ქ. თბილისი **„10“ ივლისი 2015 წ.**

ხელშეკრულების დამდები მხარეები
ერთი მხრივ,
შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება” (იურიდიული მისამართი: თბილისი, სამგორის რაიონში, აეროპორტის დასახლება(აეროპორტი); ს.კ N404 389 693) წარმოდგენილი მისი დირექტორის პირველი მოადგილის თეიმურაზ ჩხაიძის სახით (შემდგომში "შემსყიდველი“)
და მეორე მხრივ,
შპს „სი-ტი პარკი“ (ქ. თბილისი, კანდელაკის ქ.N47, **ს/კ** N 204 543 770) მისი გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი“),

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანია „შემსყიდველის“ ბალანსზე არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის (კია რიო - ს/ნ AH-346-HA და კია რიო ს/ნ AH-347-HA) ექვსთვიანი პარკირების საფასურის გადახდა და პარკირების სისტემაში გააქტიურების მომსახურების (CPV - 98351100) შესყიდვა.

2. **ხელშეკრულების ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაში შედის მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, რომელიც უნდა გადაიხადოს „მიმწოდებელმა“.

3. **მომსახურების გაწევის პირობები**

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა განხორციელდება ქ.თბილისის მასშტაბით მიღება-ჩაბარების დღიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში.

3.2. „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ მომსახურებაზე, გამოვლენილი დეფექტებისა და უზუსტობების აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

4. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

4.1. „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტს და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას.

5. **ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

5.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული „მიღება-ჩაბარების“ აქტი და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

5.3. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება „მიღება-ჩაბარების“ აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.4. „მიღება-ჩაბარების“ აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის გარეშე არ მოხდება თანხის გადახდა.

6. **მხარეთა ვალდებულებები**

6.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

6.1.1. განახორციელოს ხარისხიანი მომსახურება;

6.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის” მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6.1.3. უზრუნველყოს შემსყიდველისთვის ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაციის მიწოდება ასეთის არსებობის შემთხვევაში;

6.1.4. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების გაწევის პროცესში წარმოშობილი ხარვეზი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით.

6.1.5. მიმწოდებელს შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მოუციანად და არ

6.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

6.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის გაწეული მომსახურების საფასურის გადახდა ხელშეკრულების შესაბამისად.

6.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6.3. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

6.3.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს გაწეულ მომსახურებაზე საფასურის დროული და სრული ანაზღაურება.

6.4. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

6.4.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი;

6.4.2. მოითხოვოს ხარვეზის გამოსწორება;

6.4.3. მოითხოვოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;

6.4.4. შეწყვიტოს ხელშეკრულება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

7. მხარეთა უფლებები

7.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

7.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

7.2.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

9. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

9.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.

10.2. მხარეებს, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლიათ მიმართონ ქ. თბილისის სასამართლოს.

11. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით

12. ხელშეკრულების კონტროლი

12.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი, შპს ,,საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" ტრანსპორტისა და სპეც. ავტოტექნიკის მენეჯერი ირაკლი ბულისკერია და შესყიდვების მონიტორინგის კოორდინატორი.

12.2. კოორდინატორის ფუნქციებია:

12.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

12.2.2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმება.

13. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით.

14.1.2. მხარეთა შეთანხმებით.

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2015 წლის 31 დეკემბრისა.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.

16.2. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ერთი ეგზემპლარი - „შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონი აეროპორტი (აეროპორტის დასახლება) ს/კ № 404 389 693 საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი", ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE47TB0615536070100001 / GEL	შპს „სი–ტი პარკი" მისამართი: ქ. თბილისი, კანდელაკის ქ.N47 ს/კ N 204 543 770 საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა" ც/ფ ბანკის კოდი: REPLGE22 ა/ა: GE90BR0000010608618945
_____ თეიმურაზ ჩხაიძე დირექტორის პირველი მოადგილე	_____ ბენიამინ ლაჰავი გენერალური მენეჯერი